სსიპ გურჯაანის მუნიციპალიტეტის
სოფელ არაშენდის საჯარო სკოლა

LEPL GURJAANI MUNICIPALITY
VILLAGE ARASHENDA PUBLIC SCHOOL

მის: საქართველო, გურჯაანის მუნიციპალიტეტი
სოფელი არაშენდა, ს/ი 1501, ს/კ 227752544,
ტელ: 577 74 54 19, ელ-ფოსტა: gurArashenda@mes.gov.ge

Adress: Georgia, Gurjaani Municipality
Village Arashenda, P/C 1501, I/C 227752544,
T: 577 74 54 19, E-mail: gurArashenda@mes.gov.ge

10/12/2025

MES 1 25 0001760717

სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს
თავმჯდომარეს ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის საჯარო სკოლის (შემდგომში სკოლა) 2025 წლის ანგარიშს საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემული ,,ინფორმაციის თავისუფლების'' თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე:

სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის საჯარო სკოლის 2025 წლის 7 მაისის №1/კ-24 ბრძანებით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის საჯარო სკოლის საინფორმაციო მენეჯერი ნინო არსენაშვილი.

ა) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე წარმოდგენილ იქნა 1 (ერთი) განცხადება. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სკოლაში მოთხოვნა არ შემოსულა.

სკოლის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

ბ) დაკმაყოფილდა 1 (ერთი) მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და არ ყოფილა მიღებული არცერთი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

გ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.

დ) 2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.

ე) სკოლას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები.

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სკოლის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში არ ყოფილა შეტანილი და გამომდინარე აქედან, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები სკოლას არ ჰქონია.

პატივისცემით,

კახეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
ქალაქ გურჯაანის საგანმანათლებლო რესურსცენტრი
საჯარო სკოლები
გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ არაშენდის
საჯარო სკოლა
დირექტორი
ბოხუა მარინე

ელექტრონული
მფლობელობა
ელექტრონულად